წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N18
28 აპრილი 2023 წ.

ქ. წალენჯიხა

,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2022 წ, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.104.016500) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის „ბ“ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ბ.ა) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება

	კოდი		**დაფინანსება ათას ლარში**
პროგრამის დასახელება	06 02 01	**მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები**	**70.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური**		
	1. პროგრამა გათვლილია მოქალაქეებზე, რომლებიც ვერ ფინანსდებიან სხვა ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამებით და აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რომელიც დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამავე ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარების გაცემას 100-დან 200 ლარამდე ოდენობით ადმინისტრაციული ერთეულებისათვის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში. 2.შესაბამის დოკუმენტაციას ყოველთვიურად მერის წარმომადგენლები განსახილველად წარადგენენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია“-ზე (შემდგომში „სოციალური კომისია“).		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	3.იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ ბენეფიციარზე გასაცემი ერთჯერადი დახმარების ოდენობა არარის შესაბამისი, ის დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს ბენეფიციარისთვის ფულადი დახმარების თაობაზე. მერი ინდივიდუალურად განსაზღვრავს ბენეფიციარზე ფულადი დახმარების ოდენობას 200- დან 1000- ლარამდე ფარგლებში. (აღნიშნული მიმართულებით თანხების წლიური ოდენობა განისაზღვრება პროგრამის ბიუჯეტის 15%-ის ფარგლებში). 4.ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული მერის წარმომადგენლის დასაბუთებულ შუამდგომლობასა და შესაბამის დოკუმენტაციას განიხილავს მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური და მიმართავს მერს შუამდგომლობით, დაფინანსების თაობაზე. 5.გასაცემი თანხის ოდენობას და დახმარების გაწევაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი „სოციალური კომისია“, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებული შემთხვევისა. 6.დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.“
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **კორნელი სალია**